ფოტოგრაფია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია- მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფოტოგრაფიაში - Fourth level vocational qualification in photography

პროგრამის მიზანია: მოამზადოს ფოტოგრაფის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი, რომელიც შეძლებს რეალობის დოკუმენტურ ასახვას; ტექნიკურად სრულფასოვანი და კომპოზიციურად დახვეწილი სხვადასხვა ჟანრის ფოტოების შექმნას; ფოტოგრაფიის ისეთ სხვადასხვა დარგებში მუშაობას, როგორიცაა: დოკუმენტური ფოტოგრაფია, პორტრეტის ფოტოგრაფია, პეიზაჟის ფოტოგრაფია, ნივთების და რეპროდუქციის ფოტოგრაფია, ღონისძიებების ფოტოგრაფია.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- გააანალიზოს გადასაღები ობიექტის თავისებურებები;
- შეარჩიოს და დააყენოს განათება;
- შეარჩიოს ფოტოკამერა და ობიექტივები;
- შეარჩიოს ფონი და აქსესუარები;
- გადაიღოს დოკუმენტური და მხატვრული ჟანრის ფოტოები;
- გააკეთოს ფოტორედაქტირება.

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ფოტოგრაფად ონლაინ ან/და ბეჭდვით მედიაში, საინფორმაციო სააგენტოში, სადიზაინო სტუდიაში, გამომცემლობაში, სამოდელო და სარეკლამო სააგენტოებში, სამეცნიერო ცენტრში, თეატრსა და კინოწარმოებაში, საპორტრეტო სტუდიაში, ტელევიზიასა და სხვა მსგავსი ტიპის სახელმწიფო და კერძო დაწესებულებაში.

პროგრამის მოცულობა: 43 კრედიტი
პროგრამის ხანგრძლივობა: 8 თვე

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. სსიპ. საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზია
2. შპს. კოკაკოლა ბოთლერს ჯორჯია
3. შპს. დისქავერ ბათუმი